www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 2013 წელი. | №3427 (234) | ფასი 50

## სოსო ჯაჭველიანი და ქვეყნის მართვის ამოცანები



პარლამენტის პლენარული სხდომა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შეფასებით დაიწყო. კიევში ვითარების დაძაბვის გამო პარლამენტის წევრები უკრაინის შესახებ ერთობლივი განცხადების მომზადების საკითხს მიუბრუნდნენ. პირველ ჯერზე, ვილნიუსის სამიტამდე, ტექსტზე შეჯერება ვერ მოხერხდა. პარლამენტმა, უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე, განცხადება მიიღო არა უშუალოდ უკრაინის, არამედ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისა და საქართველოს ევროპული არჩევანის შესახებ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ვანო მერაბიშვილი: დღეს რომ 25 მაისი იყოს, იმავე ბრძანებას გავცემდი

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ 26 მაისის გამო წარდგენილ ბრალდებაზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმის არსებითი განხილვა გაიმართა.

ვანო მერაბიშვილს 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის შესახებ ბრძანების გაცემისთვის ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. გუშინდელ პროცესზე შს ყოფილი მინისტრის ადვოკატებმა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი დააყენეს.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმება ან მისი გირაოთი შეცვლა მოითხოვეს. ადვოკატების თქმით, არ არსებობს არანაირი გარემოება იმის სავარაუდოდ, რომ შესაძლოა, ვანო მერაბიშვილი სასამართლოს მიემალოს.

მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

გარდა ამისა, გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარემ კიდევ ორი შუამდგომლობა დააყენა, თუმცა მოსამართლემ არც ერთი მათგანი არ დააკმაყოფილა.

პროცესის დასაწყისში მერაბიშვილის ადვოკატებმა პროცესის მონაწილე პროკურორების აცილება მოითხოვეს იმ მოტივით, რომ ვანო მერაბიშვილი შესაძლო დანაშაულის დროს მთავრობის წევრი იყო და მის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას მთავარი პროკურორი უნდა ახორციელებდეს.

ადვოკატების თქმით, წარმოდგენილი პროკურორებიდან არც ერთია მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და არც ფარცხალაძის მიერ გაცემული დელეგირების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოუდგენიათ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## „ევრომაიდანის“ წარუმატებელი შტურმი კიევში

ივა შილაკაძე

უკრაინაში ევროინტეგრაციის მომხრე აქციის მონაწილეები და ჯერ კიდევ „გაურკვეველი ორიენტაციის“ ხელისუფლება ისევ ძალისმიერი და მშვიდობიანი ურთიერთობის ზღვარზე არიან. ოთხშაბათს, ღამით, პოლიციის სპეცრაზმებმა, კომუნალური სამსახურების „მხარდაჭერით“, ისევ სცადეს დამოუკიდებლობის მოედნის გარშემო მდებარე ბარიკადების აღება. ერთი მხრიდან ეს მოახერხეს კიდეც და შიგნითაც შევიდნენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



აქცია დნეპროპეტროვსკში

## ამერიკის კონგრესში ბიუჯეტზე შეთანხმდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა 2014 ფინანსური წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ კომპრომისს მიაღწიეს, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილოს მთავრობის მუშაობის მორიგი შეჩერება, რასაც ოქტომბერში ჰქონდა ადგილი.

დემოკრატმა სენატორმა პეტი მიურეიმ და რესპუბლიკელმა კონგრესმენმა პოლ რაიანმა, რომლებიც ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, განაცხადეს, რომ შეთანხმება ქვეყანას ბიუჯეტის დეფიციტის დამატებით 23 მილიარდი დოლარით შემცირების საშუალებას მისცემს ფინანსური წლის ბოლოსთვის (პირველ ოქტომბრამდე). ამ მიზნის მიღწევას არა მხოლოდ ბიუჯეტის რიგი მუხლების შეკვეცით აპირებენ, არამედ სახელმწიფო ხაზინაში მოსაკრებლების გაზრდის საშუალებითაც. მათ შორის, გაიზრდება მოსაკრებლები სახელმწიფო მოსამსახურეთა საპენსიო ფონდში და ავიაგადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ივარაუდება, რომ ეს ბოლო პუნქტი ამერიკაში ავიაბილეთების ფასსაც გაზრდის. ამან ათი წლის განმავლობაში 85 მილიარდი დოლარი უნდა მოიტანოს. გამოცხადდა, რომ არ განხორციელდება სეკვესტრი - ბიუჯეტის ყველა მუხლის იძულებითი შემცირება, რის წინააღმდეგაც ობამას ადმინისტრაცია გამოდიოდა. არ გაიზრდება აგრეთვე გადასახადების საბაზო ნიხრები, რაც შესაბამისად რესპუბლიკელების მთავარი პირობაა. თავდაცვისთვის გამოყოფილი ხარჯები 520,5 მილიარდ დოლარამდე შემცირდება, რაც ობამას მიერ კონგრესისთვის მოთხოვნილზე 6 მილიარდით ნაკლებია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ | | |
| 1 ევრო | 2.2110⇩ | | |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ | | |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ | | |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ | | |
| თბილისი | 7°C --3°C | | |
| ქუთაისი | 8°C - -1°C | | |
| ზუგდიდი | 8°C - 1°C | | |
| ბათუმი | 8°C - -2°C | | |
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100

## ახალი პრეზიდენტი - გაბRICHიძე

ზურა თალაკვაძე

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძეა. პერსონა, რომელიც კალათბურთის და კალათბურთელების მეგობარია. უბრალოდ, ძალიან უშუალო და თავის საქმეში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც მდიდარია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე

## კინოინსტიტუტის ათეული

AFI წლის საუკეთესო ფილმებს ასახელებს

ია ვექუა

მოვიდა წლის ბოლო და სხვა და სხვა კინოორგანიზაციებმა წლის შეჯამება დაიწყეს. ტრადიციისამებრ საკუთარი ათეული გამოაქვეყნა ამერიკის კინოინსტიტუტმა, რომელიც, როგორც წესი, წინასაოსკარო წინასწარმეტყველებასაც აკეთებს ხოლმე. კინოინსტიტუტი სატელევიზიო შოუების ათეულსაც აქვეყნებს, რითიც „ოქროს გლობუსის“ ნომინაციებზეც აკეთებს მინიშნებას. წლევანდელ სიაში მოხვდა როგორც ძველი, ისე ახალი და უკვე დასრულებული სერიალებიც, ფილმების ჩამონათვალი კი, ცხადია, ახალია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



„ფრუტველის სადგური“

## „ჯეოსელი" და „მაგთი" ფარული მოსმენების არსებობას ადასტურებენ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" ფარული მიყურადების მართვის პულტის მობილური ოპერატორებისთვის გადაცემას ითხოვს და აცხადებს, რომ კომპანია „ჯეოსელის" აღმასრულებელ დირექტორ პასი კოისტინენის ინფორმაციით, „ჯეოსელის" 21 ათასი აბონენტი, ვინც სმარტფონით სარგებლობს, ისმინება და ე.წ. შავი ყუთის არსებობას კომპანია „მაგთიც" ადასტურებს.

**„სამი თვეა, რაც ფარული მიყურადების კანონპროექტზე ვმუშაობთ და პარლამენტსაც მივმართეთ. პარლამენტში შესულია კანონპროექტი და კანონის ჩამოყალიბების შემდეგ დაწესდება, რა კუთხით უნდა მოხდეს მოსმენა. სავარაუდოდ, კანონპროექტის განხილვა მომავალი წლიდან დაიწყება. ჩვენ ვითხოვთ, მართვის პულტი, რომელიც შს სამინისტროს აქვს და თითქმის ყველა აბონენტის მოსმენას ახორციელებს, მობილურ ოპერატორებს გადაეცეს. შს სამინისტრო ახორციელებს ფარულ მოსმენებს, ახალი თაობის მობილურებით ხდება დადგენა, თუ სად გადაადგილდება ესა თუ ის პიროვნება,"** - განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მთავარმა იურისტმა ეკა ბოკუჩავამ. ორგანიზაციის ინფორმაციით, შს სამინისტრო მობილური ოპერატორებისთვის ფარული მიყურადების მართვის პულტის გადაცემას ეწინააღმდეგება.

ეკა ბოკუჩავას განმარტებით, მართვის პულტი, რომლითაც ფარული მოსმენის დაწყება შეიძლება, შს სამინისტროს აქვს და მიყურადების დაწყებაც მხოლოდ შს სამინისტროს შეუძლია, მობილური ოპერატორები კი ვერ აკონტროლებენ, როდის ისმინება ტელეფონი. ეკა ბოკუჩავას განცხადებით, შს სამინისტროს მოქალაქეების მონაცემებთან პირდაპირი წვდომა აქვს და შესაძლებელია, უწყებამ მოქალაქეების მოსმენა ნებისმიერ დროს დაიწყოს.

როგორც იურისტი აცხადებს, შს სამინისტროს მთავარი წუხილია, რომ მართვის პულტი არ უნდა გადავიდეს მობილური ოპერატორის ხელში. მისივე თქმით, გამოძიების 90 პროცენტი ფარული მიყურადებიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზეა განხორციელებული.

**„ალბათ, რთული იქნება, შსს ამ მანკიერ თვისებას გადაეჩვიოს, რადგან შედარებით გართულდება საქმის გახსნა, მაგრამ აუცილებელია, რომ ფარული მიყურადება აღარ მოხდეს. დღევანდელი ვითარებით, ჩვენი თითოეული მოქალაქის მდგომარეობა ბევრად შელახულია. ფარული მიყურადება უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს,"** - განაცხადა ეკა ბოკუჩავამ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობაში" მიიჩნევენ, რომ ფარული მიყურადების მართვის პულტი მობილური ოპერატორების ხელში უნდა იყოს და მიყურადების დაწყება მობილური ოპერატორების მიერ უნდა განხორციელდეს და არა შს სამინისტროს მიერ.

როგორც ეკა ბოკუჩავა ამბობს, ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ დღევანდელი კანონმდებლობით, ფარული მიყურადების დაწყება სისხლის სამართლის კატეგორიის ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, მიყურადება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუკი დანაშაული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ნინო გიორგობიანის განცხადებით, შსს საგამოძიებო ოპერატიული მოქმედებებისთვის მოსმენებს მხოლოდ სასამართლოს ნებართვის შემდეგ ახორციელებს.

**„უკანონო მოსმენები არ ხორციელდება. ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც იგი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, თქვა, რომ უკანონო მოსმენები აღარ იქნებოდა. მას შემდეგ არც ერთი მსგავსი ფაქტი არ მომხდარა,"** - განაცხადა ნინო გიორგობიანმა. ნინო გიორგობიანი დასძენს, რომ აღნიშნულ თემაზე „ჯეოსელისა" და „მაგთის" განცხადება არ უნახავს.

## თბილისის საკრებულოს შენობა უკრაინის დროშის ფერებში განათდა

ზ

„ვარდების რევოლუციისა" და „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ ჩვენი კოლეგებისგან, მეგობრებისგან, საქართველოს გულშემატკივრებისგან, მათ შორის უკრაინელებისგან, ყოველთვის გვესმოდა, რომ თუ შეძლო საქართველომ, აუცილებლად შეძლებს უკრაინა. თუ შეძლო საქართველომ პოლიციის რეფორმის ჩატარება, კორუფციის დამარცხება, ჩვენც შევძლებთო. საქართველო ამ თვალსაზრისით იყო მოდელი არა მარტო ნარინჯისფერი მთავრობისთვის, არამედ მომდევნო მთავრობისთვისაც. დღეს სხვა სიტუაციაა. დღეს თუ შეძლებს უკრაინა, მაშინ შეძლებს საქართველოც. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენი თანამოქალაქის სოლიდარობა იმ ხალხის მიმართ, რომელსაც ერთადერთი რამ უნდა - უნდა ევროპაში, იქ, სადაც მათი ადგილია," - განაცხადა გიგი უგულავამ.

# სოსო ჯაჭვლიანი და ქვეყნის მართვის ამოცანები

პირველი გვერდიდან

უმცირესობის მიერ მომზადებული ტექსტი კი, რომელიც არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" დამოუკიდებლად გაავრცელა.

უკრაინაში მოვლენების განვითარების დინამიკამ ამ საკითხზე უმრავლესობის და უმცირესობის ერთობლივი განცხადების მიღების თემა კვლავ აქტუალური გახადა. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ერთობლივი განცხადების ტექსტის შესამუშავებლად კონსულტაციების გამართვის ინიციატივით გამოვიდა. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, ის, რაც უკრაინაში ხდება, საერთო სახელმწიფოებრივი თემაა და თანამედროვე სამყაროში საქართველო თავისი პრინციპული პოზიციის პრინციპულად გამომხატველი უნდა იყოს. სპიკერმა იმედი გამოთქვა, რომ სამუშაო ჯგუფი განცხადების ტექსტზე შეჯერდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა საპარლამენტო უმცირესობიდან გიორგი ბარამიძემ თავის გამოსვლაში ასევე იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი უკრაინის შესახებ განცხადების მიღებას შეძლებს. ამასთან, ბარამიძემ კიევში მშვიდობიანი მომიტინგეების ძალისმიერი მეთოდებით დევნა დაგმო. **„ჩვენი, როგორც საქართველოს მოქალაქეების და პარლამენტის წევრების მოვალეობაა, უკრაინელ ხალხს სოლიდარობა გამოვუცხადოთ იმ მძიმე დროს, როდესაც ამ თავისუფლებისმოყვარე ერის მიმართ რუსეთი აგრესიას ახორციელებს. 2008 წლის აგრესის დროს უკრაინელი ხალხის მიერ გამოხატული სოლიდარობა არასდროს დაგვავიწყდება. ჩვენ ვალდებულები ვართ, თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში უკრაინელ ხალხთან ერთად ვიყოთ,"** - ამბობს ბარამიძე.

გიორგი ბარამიძის შეფასებით, რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკრაინა რუსეთის იმპერიის ჭაობში, ევრაზიულ და საბაჟო კავშირში ჩაითრიოს. როგორც ბარამიძე ამბობს, იმ ვითარებაში, როდესაც უკრაინის ხელისუფლებას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთის ფედერაციამ ის ბერკეტები აამოქმედა, რომლებიც, სამწუხაროდ, უკრაინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ შემორჩა. **„რუსეთს საქართველოს მიმართ ეს ბერკეტები არ გააჩნია. საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში, უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთის აგენტურული ქსელის განადგურება და მისი მომხრე პოლიტიკოსების მარგინალიზება შეძლო. დღეს ეს ბრძოლა კიევში, მაიდანზე მიდის. დღეს მაიდანზე არა მხოლოდ უკრაინის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სხვა ერების ბედი წყდება,"** - მიიჩნევს ბარამიძე.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს შეეხო ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი. მან იმედი გამოთქვა, რომ უკრაინა „ასოცირების შეთანხმებას" შეუერთდება. ჩიქოვანის განცხადებით, ყველა ერს საკუთარი მომავლის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მისი აზრით, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ჩარევა დაუშვებელია. **„ძალიან დამძიმებული ვარ იმ მოვლენებით, რაც უკრაინაში ვითარდება. ქართველი და უკრაინელი ხალხი წლების განმავლობაში ევროპული მომავლისთვის და დემოკრატიისთვის ერთად იბრძოდნენ და ვიმედოვნებთ, ევროკავშირში ინტეგრაციაზე ერთად მუშაობის საშუალება გვექნება,"** - დასძინა ჩიქოვანმა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, ასევე საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ქეთრინ ეშტონის განცხადებებს. **„ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა აუცილებელია,"** - მიიჩნევს ჩიქოვანი.

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, როგორც ჩიქოვანი აღნიშნავს, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის მაქსიმალურად მარტივად აღსაქმელი იყოს ის პროცესები, რაც „ასოცირების შეთანხმების" ამოქმედების შემდეგ დაიწყება.

მშვიდად მიმდინარე სხდომაზე ვითარება საპარლამენტო უმრავლესობის წევრ სოსო ჯაჭვლიანის გამოსვლის შემდეგ დაიძაბა. თავდაპირველად მან გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა უკრაინაში მომიტინგეების მიმართ ხელისუფლების ანგარიშსწორება დაგმეს. **„ძალიან ცუდია ის, რაც უკრაინაში ხდება, თუმცა „ნაციონალებმა", უპირველეს ყოვლისა, 7 ნოემბერი და 26 მაისი უნდა დაგმონ,"** - თქვა სოსო ჯაჭვლიანმა და უშუალოდ გიორგი ბარამიძეს მიმართა, - **„ეს ის ბარამიძეა, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ აღიარა, როგორ დაესხა თავს აფრასიძეების ოჯახს 1500 ჯარისკაცით და 12 ვერტმფრენით, ბავშვებს თვალწინ მოუკლა ბიძა და ბაბუა, შებილწეს საფლავები, გაატყავეს ადამიანები, მთელ საქართველოს ამცნეს, რომ კალაძის ძმა და გატაცებული ადამიანების საფლავები აღმოაჩინეს. მათ სურდათ, შეეძულებინათ სვანეთი საქართველოსთვის. სპეცოპერაცია იმით გაამართლეს, რომ თქვეს, სვანეთი დავაშინეთ და დავაჩმორეთო. თქვენ თქვენი თავი და ოჯახები დააჩმორეთ და არა - სვანეთი. მოქმედ შინაგან საქმეთა მინისტრს მოვუწოდებს, „ნაციონალური მოძრაობის" დამნაშავე წევრების დასაცავად „რეიდები" ხშირად ჩაატაროს, რათა თქვენ მიერ ნამუსახდილი ადამიანები არ გადაგეყარონ და თქვენი სიმბოლო - ცოცხი და „დუბინკა" არ იხმარონ. ბარამიძე თავად ამბობს, დამკითხეთო. მოვუწოდებ სამართალდამცავებს, გამოიძიონ ყველა დეტალი. მე ჩემს კუთხეს კარგად ვიცნობ და ბარამიძეს გულწრფელად მინდა, მივმართო - ნუ ბლატაობ, შე ჩმორო!".**

ჯაჭვლიანის გამოსვლა ჯერ სიტყვიერ, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. შეხლა-შემოხლაში სხვა დეპუტატებიც ჩაერთვნენ. ზოგი მათგანი, მანდატურებთან ერთად, ვითარების განმუხტვას ცდილობდა. პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომაზე შესვენება გამოაცხადა.

სხდომის განახლების შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ გოკა გაბაშვილმა პროტესტის ნიშნად სხდომის დატოვების შესახებ უმცირესობის განცხადება გამოაქვეყნა. როგორც გაბაშვილი ამბობს, პარლამენტში ბევრი მნიშვნელოვანი საქმე იყო, მათ შორის, უკრაინის სოლიდარობის გამომხატველი განცხადება უნდა განხილულიყო, მაგრამ უმრავლესობამ პარლამენტის დარბაზში სულ სხვა ვითრების შექმნა გადაწყვიტა. **„უმცირესობა პროფესიულ კამათს ვერ მოახერხებს,"** - თქვა გაბაშვილმა.

გოკა გაბაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა, პარლამენტში მომხდარი პროვოკაცია შეაფასოს, მით უმეტეს, რომ ეს ფაქტი, როგორც ოპოზიციონერმა აღნიშნა, კუთხური შუღლის გაღვივების საშიშ მომენტებს შეიცავდა. **„სანამ უმრავლესობა ამ პროვოკაციულ საქციელს არ შეაფასებს, უმცირესობა სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს,"** - დასძინა გოკა გაბაშვილი.

დავით უსუფაშვილის თქმით, სოსო ჯაჭვლიანსა და გიორგი ბარამიძეს შორის მომხდარ დაპირისპირებას სათანადო რეაგირება აუცილებლად მოჰყვება.

როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, ქართველ ხალხს პარლამენტის წევრები იმისთვის არ აურჩევია, რომ ისინი ასეთი ინციდენტების მოწყობით და სესიაზე მისი გარჩევით იყვნენ დაკავებულები. უსუფაშვილმა ისიც თქვა, რომ ინციდენტს ვითარებაში უფრო დეტალურად გარკვევის შემდეგ შეაფასებს. **„ჩემგან შეფასებაც იქნება და სრული, სამართლიანი და ობიქტური რეაგირებაც,"** - ამბობს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტში უკრაინის შესახებ ერთობლივი განცხადების მიღება მაინც შესაძლებელი იქნება. შემდეგ კი უსუფაშვილმა უმრავლესობის წევრებს მიმართა: **„უმრავლესობის პასუხისმგებლობა ქვეყანაში გადაწყვეტილებების, კანონების, მათ შორის, ბიუჯეტის მიღებაა. ეს პარლამენტის ჩვეულებრივი და ორდინალური სხდომა არ არის. ახლა იმ უმთავრესი საკითხის განხილვა იგეგმება, რომლისთვისაც პარლამენტები არსებობს და საერთოდ სახელმწიფო ცხოვრებაა მოგონილი. განსახილველი გვაქვს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, ჩამოსულია ფინანსთა მინისტრი. ყველას შეგახსენებთ, ჩვენი ამოცანა არ არის „ნაციონალურ მოძრაობასთან" გამკლავება და მათთან სიტყვა-პასუხში შეჯიბრება. ჩვენი ამოცანა ქვეყნის მართვა და წინ წაყვანაა. ამისთვის, პარლამენტში გადაწყვეტილებების მიღება, კანონების დამტკიცება, ბიუჯეტის მიღება და სხვა საქმეების გაკეთებაა საჭირო, ამიტომ ვაგრძელებთ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივი რიტმი არ არის, მუშაობას ვაგრძელებთ."**

უსუფაშვილმა დასძინა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ევალება დიალოგის წარმოება ყველასთან, რათა ყველაფერი ჩვეულებრივ რეჟიმში დაბრუნდეს.

**„უმრავლესობის მხრიდან პოლიტიკურად მაინცდამაინც ჭკვიანური ქმედება არ არის ის, რომ უმცირესობას ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს დარბაზის დატოვების საბაბს აძლევს,"** - მიიჩნევს უსუფაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა დარბაზში მომხდარი ინციდენტი მოგვიანებით შეაფასეს. **„ვინ არის სვანი და ვინ - არა, ამას ვნახავთ,"** - ამბობს უმცირესობის წევრი სერგო რატიანი. მისი შეფასებით, დაპირისპირება პიროვნულ დამოკიდებულებას არ გამოუწვევია, არამედ, რატიანის თქმით, ეს იყო გიორგი ბარამიძის, როგორც პოლიტიკოსის მიმართ განხორციელებული პროვოკაციული ქმედება. რატიანი იმასაც აღნიშნავს, რომ უმრავლესობის წევრს კუთხური შუღლის გაღვივების მცდელობა ჰქონდა, რაც რუსეთის ინტერესებშია.

თავად სოსო ჯაჭვლიანი ფიზიკური დაპირისპირების გამო საზოგადოებას ბოდიშს უხდის და აღნიშნავს, რომ ბარამიძის მოძრაობებმა გააღიზიანა. **„ქართველ მაყურებელს, ჩვენს ამომრჩეველს ვუხდი ბოდიშს იმის გამო, რაც იქ მოხდა, თორემ გია ბარამიძე უარესის ღირსიც იყო, ისე იქცეოდა,"** - ამბობს ჯაჭვლიანი.

ინციდენტს დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებს გიორგი ბარამიძე. **„ჩემი ყველა რეაქცია აბსოლუტურად ადეკვატური იყო. როდესაც ადამიანი ცდილობს, საკუთარი თავი სვანეთთან გააიგივოს ან, მით უმეტეს, იმ კრიმინალი აფრასიძეების გაიგივება სვანეთთან, რომელთა პარპაშის დროს, ყველას კარგად ახსოვს, რა მდგომარეობა იყო სვანეთში და როგორი დატერორებული იყო ხალხი, სრული უზნეობა და აბსოლუტური შეშლილობაა,"** - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ, - **„თუ სამართალდამცავ ორგანოებს აინტერესებთ დეტალების გარკვევა, თუ როგორ მოხდა სპეცოპერაციის წარმატებულად ჩატარება, ყველა დეტალის შესახებ პასუხისთვის მზად ვარ."**

პლენარული სხდომის დასასრულს დავით უსუფაშვილმა დეპუტატებს ერთმანეთის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.

**„პარლამენტში მომხდარი მოვლენა შეგვიძლია, მარტივად გავამართლოთ, რომ ასე სხვა პარლამენტებშიც ხდება, მაგრამ ეს სწორი მიდგომა არ არის. ამ ქვეყანაზე იმდენი არასწორი რამ ხდება, მაშინ ჩვენთან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პირადად მე ყოველნაირად შევეცდები, ასეთი რამ აღარ განმეორდეს. გადავწყვიტე, იმ კონკრეტულ მომენტში ის ზომები არ მიმეღო, რაც რეგლამენტით არის გათვალისწინებული. არავის გვეკადრება ამ ტიპის მოვლენა და განცხადება. ფრაქციების ხელმძღვანელებთან კიდევ ვისაუბრებ. ეს პარლამენტია და აქ ცენზურას ვერ დავაწესებთ. გამოსვლა, სიტყვის თავისუფლება თუ სადმე უნდა ყვაოდეს, ეს პარლამენტია,"** - თქვა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება უკრაინის შესახებ განცხადებას, საპარლამენტო უმრავლესობას მისი მიღება კვლავ უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე მოუწია. განცხადება 86 ხმით, ერთხმად მიიღეს: „საქართველოს პარლამენტი, უცხადებს რა სრულ სოლიდარობას არჩევანის თავისუფლებისთვის მებრძოლ უკრაინელ ხალხს, ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის გამო.

საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს უკრაინელი ხალხის ნებას, გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და სჯერა, რომ მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოც და უკრაინაც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სივრცეში.

საქართველოს პარლამენტი მიესალმება საერთაშორისო თანამეგობრობისა და დემოკრატიული სამყაროს ძალისხმევას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერისა და მათი სუვერენიტეტის დაცვის მიზნით და აცხადებს, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესში ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ხელუყოფელი არჩევანის გაკეთების თავისუფლება და რუსეთს ან ნებისმიერ სხვა ქვეყანას არ აქვს უფლება, ჩაერიოს აღნიშნულ პროცესში.

საქართველოს პარლამენტი ასევე მიესალმება ევროკავშირისა და უკრაინის ძალისხმევას, განახლდეს მხარეებს შორის მოლაპარაკებები ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე და ამ მიმართულებით შესაბამისი პრობლემების დროულად მოგვარების მიზნით. გვჯერა, რომ უკრაინის პოლიტიკური ლიდერები გამონახავენ ღირსეულ, მშვიდობიან და ხალხისთვის სასარგებლო გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან," - ნათქვამია პარლამენტის განცხადებაში.

***საკუთარი ინფორმაცია***

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მედა". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფარჯიანი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ძაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფარჯაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# პარლამენტმა 2014 წლის ბიუჯეტი მიიღო

პარლამენტმა გუშინ 2014 წლის ბიუჯეტი 86 ხმით მიიღო. ბიუჯეტის პროექტის განხილვამ და კენჭისყრამ საპარლამენტო უმცირესობის მონაწილეობის გარეშე ჩაიარა.

ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი პარლამენტის წინაშე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა წარადგინა.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2014 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.5 პროცენტია. ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანი შიდა პროდუქტი 29,3 მილიარდი ლარია.

მოცემულ პროგნოზებზე დაყრდნობით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014 წელს 7 230.0 მლნ ლარითაა განსაზღვრული. საგადასახადო შემოსავლების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია მომდევნო წლის დასაწყისში 180-200 მლნ ლარის ოდენობით დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება, რაც თვეში 500 ლარის ან ნაკლები შემოსავლის მქონე პირთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის დაბრუნებას ითვალისწინებს. ამასთან, დაახლოებით, 150.0 მლნ ლარის ოდენობით წინა წლებში ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებაც იგეგმება, რომლის ჯამური ოდენობა 1 მლრდ ლარზე მეტია.

ნოდარ ხადურმა შემოსავლის წყაროები ჩამოთვალა და აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით, 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 9 080.0 მლნ ლარი იქნება. საგადასახადო შემოსავლები - 6 820.0 მლნ ლარი; გრანტები - 144,0 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 355.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები სახსრები - 80.0 მლნ ლარი; გასულ წლებში გაცემული სესხების დაბრუნება - 70.0 მლნ ლარი; მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი - 136.0 მლნ ლარი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები - 300,0 მლნ ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები - 600.0 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადიანობის მქონე სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება - 400.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ხაზინაში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება - 175,0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრების მთლიანი მოცულობა კი 600,0 მლნ ლარით განისაზღვრა, საიდანაც 400,0 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებას მოხმარდება, მათ შორის, სახელმწიფო ვალების დაფარვას, რომლის მოცულობაც, როგორც ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს, 2014 წელს რეკორდულია. 2013-2014 წლებში სახელმწიფო ვალების მომსახურებასა და დაფარვაზე ჯამში 1 685,0 მლნ ლარია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებშიც 2009 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან აღებული კრედიტის და 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დარჩენილი ნაწილი დაიფარება.

ფასიანი ქაღალდების ემისიიდან დარჩენილი 200,0 მლნ ლარი ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისთვის მიიმართება, კერძოდ, ეროვნულ ბანკთან ერთად შემუშავდება ამ თანხის კომერციულ ბანკებში განთავსების წესი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული თანხა დეპოზიტებად განთავსდება იმავე კომერციულ ბანკებში, რომლებიც აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს შეიძენენ. დეპოზიტების ვადიანობა შესაბამისობაში იქნება ფასიანი ქაღალდების ვადიანობასთან, ხოლო დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები არ იქნება. აღნიშნული თანხით კომერციულ ბანკებს საშუალება ექნებათ, ლარში გასცენ გრძელვადიანი კრედიტები, რაც, ფინანსთა მინისტრის აზრით, ეკონომიკის სტიმულირებას ხელს შეუწყობს.

რაც შეეხება 2014 წლის ასიგნებებს, ფინანსთა მინისტრი პარლამენტარებს ძირითადი მხარჯავი დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას აცნობს. ყველაზე დიდი დაფინანსება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექნება, რომლის ასიგნებები 313.0 მლნ ლარით იზრდება და 2 658.0 მლნ ლარს შეადგენს;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 84,3 მლნ ლარით იზრდება და 754,3 მლნ ლარს შეადგენს; სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 22,5 მლნ ლარით იზრდება და 263,5 მლნ ლარს შეადგენს; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 875.0 მლნ ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურისთვის - 501,7 მლნ ლარი; რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურისთვის - 187,1 მლნ ლარი; წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის - 131,0 მლნ ლარი; იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის - 50,1 მლნ ლარი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გამოყოფილია 87,0 მლნ ლარი, რაც მიმდინარე წლის ასიგნებებს 32,0 მლნ ლარით აღემატება.

იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება 10.9 მლნ ლარით შემცირებულია, რადგან წარმოდგენილ პროექტში იუსტიციის სახლების მშენებლობა გათვალისწინებული არ არის. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ასიგნებები 17.4 მლნ ლარით შემცირებულია, რაც პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვანმა კლებამ განაპირობა. ენერგეტიკის სამინისტროსთვის 114,6 მლნ ლარია გამოყოფილი, რომლის ფარგლებში 6,5 მლნ ლარი იმ სოფლების ელექტროფიცირების დასრულებისთვის მიიმართება, რომელთაც დღემდე ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება 4,0 მლნ ლარით მცირდება და 96,0 მლნ ლარს შეადგენს. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 90,0 მლნ ლარს შეადგენს, მომავალ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოსთვის შენობის შეძენა იგეგმება. თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 660,0 მლნ ლარს შეადგენს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 600,0 მლნ ლარია გამოყოფილი. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის 80,0 მლნ ლარია გათვალისწინებული. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 53,9 მლნ ლარით დაფინანსდება. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 48,0 მლნ ლარი, საიდანაც 38,7 მლნ ლარი დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის 31,0 მლნ ლარი გამოიყოფა. 2014 წლის ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსფერები გაზრდილია. კერძოდ, თბილისის გარდა, სხვა თვითმმართველი ერთეულების ტრანსფერები ჯამურად 76.0 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო თბილისის ტრანსფერი 49.9 მლნ ლარით შემცირდა.

ნოდარ ხადურის ინფორმაციით, მომავალ წელს სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულთა უმნიშვნელო ზრდაა დაგეგმილი. როგორც ხადური ამბობს, ეს რამდენიმე ახალი სამსახურის, მათ შორის, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის შექმნამ განაპირობა. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო კარწახსა და ლაგოდეხში საბაჟო-გამშვებ პუნქტებს აშენებს. თბილისში კი ახალი საბაჟო აშენდება.

ხადური დასძენს, რომ მომავალ წელს პოლიციასა და თავდაცვის სამინისტროში შრომის ანაზღაურება გაიზრდება. ამასთან, როგორც მინისტრი აღნიშნავს, რაც მთავარია, მასწავლებელთა შრომის ანაზრაურების მოწესრიგების საკითხი გაგრძელდება.

„გამოსვლა 15 წუთში ჩავატიე,“ - თქვა სიტყვის ბოლოს ნოდარ ხადურმა. „შემოდგომაზე დავითვლით ამ 15 წუთს,“ - მიმართა ფინანსთა მინისტრს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

მართალია, საპარლამენტო უმცირესობა სხდომას არ დასწრებია, თუმცა უმცირესობის წევრები ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერას მაინც არ აპირებდნენ. **„სახელმწიფო მაღალპროცენტიან შიდა ვალს იღებს, რათა დააფინანსოს ვალდებულებები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე მიმართული არ არის. ეს თანხა ბიუროკრატიის ხელფასების ზრდაზე იხარჯება. ამ მიმართულებით სახელმწიფო 137 მილიონ ლარს გამოყოფს. ხოლო, პენსია მომავალ წელს არ იზრდება. ყველა სახელმწიფო, რომელმაც ვალდებულებების ვალით დაფინანსება გადაწყვიტა, საბოლოო ჯამში დეფოლტამდე მივიდა. ბიუჯეტი აბსოლუტურად არაპროფესიონალურად არის გათვლილი,“** - მიიჩნევს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ვაშაძე.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ვანო მერაბიშვილი: დღეს რომ 25 მაისი იყოს, იმავე ბრძანებას გავცემდი

პირველი გვერდიდან

აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ პოზიცია ვანო მერაბიშვილმაც დააფიქსირა. მან მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას მიმართა, რომ ადვოკატთა შუამდგომლობის მიმართ მოსამართლეს დასაწყისშივე ნეგატიური პოზიცია ჰქონდა.

**„ეს ბუნებრივია, თქვენ ხელისუფლებისგან ცუდ მდგომარეობაში ხართ. აღნიშნულ საქმეს კბილაშვილი, ნაცვლიშვილი, მწარიაშვილი გაეცალნენ და ახლა ხელისუფლება შეეცდება, თქვენ შეგახოცოთ ხელი,“** - მიმართა მერაბიშვილმა მოსამართლეს.

ხათუნა ხარჩილავამ მას თავაზიანი საუბრისკენ მოუწოდა.

**„არავინ არის ცუდ მდგომარეობაში. თავაზიანად ისაუბრეთ. მოსამართლესთან პოლემიკაში ნუ შემოდიხართ, რასაც ამბობთ, ეს თქვენი უსაფუძვლო ეჭვია,“** - განაცხადა მოსამართლემ.

პროკურორების აცილების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობას ბრალდების მხარე შეეწინააღმდეგა. პროკურორმა განაცხადა, რომ ვანო მერაბიშვილს, როგორც ყოფილ მინისტრს, ბრალდება პროკურორებმა წაუყენეს და ის მოტივი, რომელსაც დაცვის მხარე ასახელებს, მოქმედ მინისტრთა კაბინეტზე ვრცელდება.

ვანო მერაბიშვილმა პოზიციის დაფიქსირება განაგრძო და აღნიშნა, რომ დღეს რომ 25 მაისი იყოს, იგი ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც 2011 წელს.

**„გილოცავთ ქალბატონო, თქვენ ზეწოლას ვერ გაუძელით, მაგრამ თქვენ ვერ გამომიტანთ გამამტყუნებელ განაჩენს, რადგან არ არსებობს არც ერთი მოწმე და ექსპერტი, ვინც მე დამადანაშაულებდა. დღეს 25 მაისი რომ იყოს, მე გავცემდი იმავე ბრძანებას, იმავე გეგმას, ყველაფერს ისე გავაკეთებდი, როგორც გავაკეთე. მე ვამაყობ, რომ მომიწია ბრძანების გაცემა, არა მარტო იმ დღეებში, არამედ „ვარდების რევოლუციის“, აჭარის გათავისუფლების და სხვა მოვლენების დროს. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს დრო დადგებოდა, რადგან ადამიანებმა „ვარდების რევოლუციის“ დროს ხელფასი დაკარგეს. შეგუებული ვარ ამ ყველაფერს, მაგრამ მეცოდებით თქვენ, შევდივარ თქვენი და ამ პროკურორების მდგომარეობაში, რადგან იძულებით აკეთებენ ამ საქმეს, მაგრამ არ შევდივარ კბილაშვილის, ნაცვლიშვილისა და მწარიაშვილის მდგომარეობაში,“** - განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, ეს პოლიტიკური პროცესია და პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლას კვლავ აპირებს.

**„ნუ შეეცდებით, ჩააჩუმოთ ჩემი პოლიტიკური განცხადებები, რადგან მე ამას მაინც გავაკეთებ,“** - განაცხადა მერაბიშვილმა.

პროკურორების აცილების მოთხოვნის შემდეგ ვანო მერაბიშვილმა მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას აცილებაც მოითხოვა. მერაბიშვილის ადვოკატ ოთო კახიძის თქმით, დაცვის მხარემ აღნიშნული შუამდგომლობა იმ მოტივით დააყენა, რომ მოსამართლემ დაცვის მხარის პირველივე შუამდგომლობაში გამოავლინა საეჭვო ობიექტურობა. კერძოდ, ადვოკატის თქმით, აღნიშნულ შუამდგომლობას ახალი არსებითი გარემოებიდან გამომდინარე აყენებს.

**„როდესაც ჩვენ დავაყენეთ შუამდგომლობა პროკურორების აცილების შესახებ, თქვენ შუამდგომლობის დაყენებისას შემაწყვეტინეთ და დამისვით კითხვა, თუ რა მუხლზე დაყრდნობით ვაყენებთ შუამდგომლობას. ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება და თუკი იკვეთება მოსამართლის საეჭვო ობიექტურობა, იგი უნდა შეიცვალოს. მხარეებს უნდა შეექმნათ თანაბარი შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, ვითხოვ თქვენს აცილებას, რადგან თქვენ მომიწოდებთ, რომ შუამდგომლობის დაყენებისას კარგად წავიკითხო მუხლი, რომლის საფუძველზეც ვაყენებ შუამდგომლობას,“** - მიმართა მოსამართლეს ადვოკატმა ოთო კახიძემ.

აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების შემდეგ მოსამართლისა და პროკურორების მიმართ განცხადება ვანო მერაბიშვილმაც გააკეთა.

შს ყოფილმა მინისტრმა აღნიშნა, რომ მისთვის წაყენებული ბრალდება უპრეცედენტოდ სუსტია.

**„პროკურატურას ბევრი დრო ჰქონდა, თუმცა იგი ამოეფარა ნინო ბურჯანაძის კალთას, ბადრი ბიწაძის ხელკეტებს, უჩავას მიერ შექმნილ რაზმებს და დამალა ექსპერტიზის დასკვნა,“** - თქვა მერაბიშვილმა.

შს ყოფილმა მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას გაუჭირდება, იყოს ობიექტური.

მოსამართლე კი ვანო მერაბიშვილის მხრიდან სასამართლოზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობაზე საუბრობს.

**„თქვენ სცადეთ, ფსიქოლოგიური ზეწოლა მოგეხდინათ სასამართლოზე, თუმცა ეს შედეგს ვერ გამოიღებს,“** - მიმართა ხათუნა ხარჩილავამ ვანო მერაბიშვილს.

მოსამართლემ მისი საეჭვო ობიექტურობის შესახებ დაცვის მხარის არგუმენტები დაუსაბუთებლად მიიჩნია და შესაბამისად, თვითაცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარის სამ შუამდგომლობაზე მოსამართლის უარის შემდეგ ბრალდებამ 26 მაისის საქმეზე შესავალი სიტყვა წარადგინა.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის თქმით, 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ გენინსპექციაში ჩატარდა მოკვლევა და დაისაჯნენ რიგითი პოლიციელები, რომელთაგან უმეტესობა აღნიშნულ ოპერაციაში საერთოდ არ მონაწილეობდა.

ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვის წარმოთქმისას სქემა და ვიდეომასალა წარმოადგინა, რომლებშიც ასახული იყო, თუ როგორ განვითარდა მოვლენები 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე.

პროკურორის განცხადებით, არსებობს ოფიციალური გეგმა, ვანო მერაბიშვილისა და მისი მოადგილეების შალვა ჯანაშვილის და გია ლორთქიფანიძის ხელმოწერით, რომელიც რუსთაველის გამზირის მომიტინგეებისგან გაწმენდას ითვალისწინებდა, თუმცა არა - ქუჩების გადაკეტვას.

ბრალდების მხარის თქმით, აღნიშნული ოფიციალური გეგმა ფასადურ ხასიათს ატარებდა, რეალურად კი ვანო მერაბიშვილმა პირადად გასცა ბრძანება, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ყველა ქუჩა ჩაეკეტათ, რათა აქციის რაც შეიძლება მეტი მონაწილე დაეკავებინათ და დაესაჯათ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა.

ბრალდების მხარის მტკიცებით, თავად ვანო მერაბიშვილი 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობიდან, რუსთაველზე არსებული ვიდეოკამერების მეშვეობით, თვალყურს ადევნებდა აქციის დაშლას, რომელშიც 3 000-ზე მეტი სამართალდამცავი მონაწილეობდა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოყენებულ იქნა წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, რის შემდეგაც აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედნისკენ გაემართნენ.

**„ხალხი ცდილობს, ტერიტორია დატოვოს, თუმცა გაქცეულებსაც დევნიან და ხელკეტებს იყენებენ, როდესაც ამის საჭიროება არ დგას. ამასთან, ჩაკეტილია რუსთაველის გამზირის მიმდებარე ყველა ქუჩა და მომიტინგეები ალყაში არიან მოქცეულები,“** - თქვა პროკურორმა და დასძინა, რომ აღნიშნულს 400-ზე მეტი მოწმე ადასტურებს.

პროკურატურის შესავალი სიტყვის მოსმენის შემდეგ ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურის ბრალდებები სუსტია და ბრალდების მხარე - მოუმზადებელი. დაცვის მხარემ კი შესავალი სიტყვის ჩამოსაყალიბებლად დრო ითხოვა.

საქმის არსებითი განხილვა 18 დეკემბერს, 12:00 საათზე განახლდება.

## ურუგვაიში მარიხუანით ვაჭრობა დაკანონდა

სამშაბათს ურუგვაიში მარიხუანის მოყვანა, ვაჭრობა და მოხმარება დაკანონდა. „როიტერის“ ცნობით, ამ კანონს მხარი დაუჭირა 16-მა სენატორმა 13-ის წინააღმდეგ. შესაბამისად, ურუგვაი მსოფლიოში პირველი სახელმწიფო გახდა, სადაც მსგავსი კანონი მიღეს. ამ კანონის თანახმად, 18 წლის ზემოთ მომხმარებელი თვეში, მაქსიმუმ, 40 გრამი მარიხუანის ყიდვას შეძლებს. კანონი 120 დღეში შევა ძალაში. თითო ადამიანს მარიხუანის 6 ბუჩქის დარგვის უფლება მიეცემა. შესაძლოა კლუბების შექმნაც 15-45 ადამიანის შემადგენლობით და მათ უფლება ექნებათ, 99-ბუჩქიანი პლანტაცია გააშენონ.

## ქაბულის აეროპორტთან უცხოელ სამხედროებზე თავდასხმა მოხდა

ოთხშაბათს ქაბულის საერთაშორისო აეროპორტთან უცხოელ სამხედროებს თავს დაესხნენ. ჯერ უცნობია, მოჰყვა თუ არა თავდასხმას მსხვერპლი. ნატომ თავდასხმის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა: „ვადასტურებთ, რომ ISAF-ის ბადრაგთან დღეს თვითმკვლელი თავის აფეთქებას შეეცადა. თავდამსხმელი მოკლულია,“ - განაცხადა ISAF-ის წარმომადგენელმა ლატონდრა კინლეიმ.

## სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანების „საგზაო რუკა“ შედგენილია

სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარგსიანის განცხადებით, სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანების „საგზაო რუკის“ პროექტი უკვე შედგენილია. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ „არმენპრესი“ ავრცელებს. 2013 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ სომხეთს საბაჟო კავშირში გაწევრიანება სურს, რომლის შემადგენლობაშიც ამ დროისთვის რუსეთი, ბელორუსი და ყაზახეთი არიან. სომხეთის პრემიერის თქმით, დოკუმენტი სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეადგინა: მას 11-12 დეკემბერს მოსკოვში განიხილავენ და იქ გაირკვევა, თუ რომელი საკითხები დარჩა გადაუჭრელი. 12 დეკემბრის შემდეგ სამუშაო ჯგუფი სომხეთში დაბრუნდება და ჩვენ „საგზაო რუკის“ საერთო სურათი გვექნება,“ - აღნიშნა სარგსიანმა.

## ინდოეთში ჰომოსექსუალიზმი ისევ აკრძალეს

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ოთხშაბათს ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ ჰომოსექსუალიზმი კანონდარღვევად გამოაცხადა. მსგავსი ურთიერთობის დეკრიმინალიზაციის შესახებ ოთხი წლის წინათ ინდოეთის ქვედა ინსტანციის სასამართლომ გამოაცხადა, თუმცა უზენაესმა სასამართლომ ეს დადგენილება უარყო. უფლებადამცველმა ორგანიზაციამ «ემნესტი იმტერნეიშენალმა» ამ გადაწყვეტილებას უკვე უწოდა „ინდოეთის თავისუფლების შავი დღე“. ორგანიზაციის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ინდოეთმა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით რამდენიმე წლით უკან დაიხია.

## «ჯენერალ მოტორსს» ქალი უხელმძღვანელებს

უმსხვილეს ამერიკულ ავტომანქანების მწარმოებელ კომპანიას «ჯენერალ მოტორსს» 51 წლის მერი ბარა უხელმძღვანელებს. ის ამ თანამდებობაზე დენილე აკერსონს ჩაანაცვლებს. ბარამ კომპანიაში მუშაობა 1980 წელს დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. ბარა ბოლოს კომპანიის წარმოების განვითარების ხელმძღვანელი იყო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფასების ზრდის შეჩერებასა და ბიუროკრატიის შემცირებაში.

## ჩრდილოეთ კორეა ოქროს ყიდის

ეკონომიკური კრიზისის გამო ჩრდილოეთ კორეა ოქროს ყიდის. აღნიშნულის შესახებ სააგენტო „რენხაპი“ იტყობინება. როგორც აღნიშნავენ, ეს ქვეყნის ღრმა ეკონომიკურ კრიზისზე მიუთითებს. ქვეყნის ყოფილი ლიდერი კიმ ირ სენი აცხადებდა, რომ „სიმდიდრე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს.“ სამხრეთ კორეის მთავრობის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეა ამ დროისთვის 2000 ტონა ოქროს ინახავს, რომლის ღირებულებაც 800 მილიონი დოლარია.

## ირანსა და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის მოლაპარაკებები დაიწყო

ოთხშაბათს ვენაში ირანსა და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყო. „ჩვენ წინა შეთანხმებებსა და მომდევნო პაკეტს განვიხილავთ,“ - განუცხადა მოლაპარაკებების დაწყების წინ ჟურნალისტებს ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა რეზა ნაჯაფმა. პარალელურად ვენაში ე.წ „ექვსეულსა“ და ირანს შორის კონსულტაციებიც მიმდინარეობს, სადაც ნოემბერში ჟენევაში მიღწეული შეთანხმების განხორციელების გზებს განიხილავენ. ცნობისათვის - 24 ნოემბრის შეთანხმების თანახმად, ირანი ურანის გამდიდრებაზე მუშაობას, ფაქტობრივად, შეწყვეტს, სანაცვლოდ კი დასავლეთი ამ ქვეყნის მიმართ დაწესებულ მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს შეამსუბუქებს.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# „ევრომაიდანის“ წარუმატებელი შტურმი კიევში

პირველი გვერდიდან

შიგნით მომიტინგეების მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ უკან დაიხიეს. ოთხშაბათს, დილას, სპეცრაზმებმა ვერც კიევის მერიის შენობა აიღეს. პარალელურად ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები მხარეების მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას ცდილობენ. ეს არც ისე ადვილი ჩანს, რადგან ოპოზიციას თავისი პირობები აქვს, ხელისუფლება კი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს.

ოთხშაბათს, ღამით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმმა «ბერკუტმა» დამოუკიდებლობის მოედანს მჭიდრო ალყა შემოარტყა და მის გარშემო დადგმული ბარიკადების აღება დაიწყო. ერთ-ერთი მხრიდან ეს შედარებით ადვილად მოახერხეს და ძალოვნები მოედანზეც შევიდნენ, თუმცა ყველა მიმართულებით აქტიურ წინააღმდეგობას გადააწყდნენ. ამას გარდა, შტურმის დაწყებისთანავე მოედანზე სწრაფად გაიზარდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა. სახლში დასასვენებლად წასული აქტივისტები ისევ ქუჩაში გამოცვივდნენ და პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ. როგორც ბოლო დღეებში ნათლად გამოჩნდა, აქციის მონაწილეებს შორის არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი კრიტიკული მასა, რომელიც არ უფრთხის ხელკეტებს, ცრემლსადენ გაზს და ყოველთვის მხად არის წინააღმდეგობის გასაწევად.

„ბერკუტმა“ დილას უკან დაიხია და კვლავ სამთავრობო შენობების გარშემო განლაგდა. დღისით მათ კიევის ქალაქის მერიის დემონსტრანტებისგან გათავისუფლების მცდელობა კიდევ ჰქონდათ, თუმცა ესეც უშედეგო აღმოჩნდა. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს როგორც მოედანზე მყოფებმა, ასევე შენობის მეორე სართულზე გამაგრებულმა აქტივისტებმა. ზევიდან სპეცრაზმელებს შლანგებით გადმოასხეს წყალი, რამაც მათ ავტობუსებშიც ჩააღწია და კვამლმდენი ყუმბარებიც ესროლეს. საბოლოოდ სპეცრაზმელებმა მერიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაც დატოვეს. საღამოსთვის აქციების ახომახლო მილიციელებიც კი თითქმის არსად ჩანდნენ.

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პრემიერ აზაროვის თაოსნობით, გუშინ ურცხვად განაცხადეს, რომ მშვიდობიანი მიტინგის დარბევა აზრადაც არ მოსვლიათ და ამას არც აპირებენ, ხოლო ღამის მოვლენები „ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის სურვილით“ გაამართლეს. ხელისუფლების სიტყვებით, ქალაქის ცენტრალურ არტერიებზე მდებარე ბარიკადები ანისანიტარიას ქმნის და ქალაქში საცობებს იწვევს. პრემიერმა აზაროვმა ვრცლად ისაუბრა იმაზეც, რომ ქვეყნის მართვა მიტინგებით და ქუჩის კონცერტებით შეუძლებელია და ხელისუფლებას ნორმალური მუშაობის საშუალება უნდა ჰქონდეს. მან ისიც თქვა, რომ აქციაზე მყოფები მთელი უკრაინის ინტერესებს არ გამოხატავენ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პრემიერი აზაროვი, რომელიც უკრაინულად საერთოდ ვერ საუბრობს (პარლამენტშიც მხოლოდ ის ლაპარაკობს რუსულად), საკმაოდ ოდიოზურ და გამაღიზიანებელ განცხადებებს აკეთებს. მას იანუკვიჩი, ეტყობა, ამისთვის კარგად იყენებს. ამან შეიძლება, ის გამოიწვიოს, რომ აზაროვი კარგი განტევების ვაციც გამოდგეს, რაზეც მოქმედ პრეზიდენტს მისმა წინამორბედებმა გუშინწინ უკვე მიანიშნეს.

დღის განმავლობაში დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფმა ხალხმა ახალი ბარიკადები ააგო. მათ დაკავებული ზონაც გააფართოვეს. ამისთვის, სხვა ტრადიციული საშუალებების გარდა, თოვლიც გამოიყენეს. მანიფესტანტებმა დამოუკიდებლობის მოედანი თოვლისგან გაწმინდეს, ამ თოვლით ბარიკადები გაამაგრეს და ზედ წყალიც დაასხეს, რათა ეს მასა ღამე ყინულად იქცეს.

კიევის გარდა, ევროინტეგრაციის მომხრეები მიტინგებს სხვა ქალაქებშიც აწყობენ და არა მხოლოდ დასავლეთ უკრაინაში. აქციები, ცხადია, შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც ჩატარდა «რეგიონების პარტიის» ერთგულ, პრორუსულ ოლქებსა და ქალაქებშიც - კერძოდ, დონეცკში, ლუგანსკში, სუმში, სევასტოპოლსა და ხარკოვში. თითოეულში რამდენიმე ასეული ადამიანი გამოვიდა. მათ ევროინტეგრაციას მხარი დაუჭირეს, კიევის აქციის მხარდასაჭერად კი ფული, საკვები და თბილი ნივთები შეაგროვეს.

შესაძლოა, ქუჩაში ერთდროულად მილიონი ადამიანის დაყენება მხოლოდ დედაქალაქმა ვერ შეძლო, თუმცა ყველა ქალაქის აქციების გაერთიანებით ეს „ზღვარი“ თავისუფლად გადალახულია.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების დაწყება ჭირს. ოპოზიციამ გამთენიისას თავისი პირობები მიტინგზე საჯაროდ წამოაყენა. „ბატკივშჩინას“ ერთ-ერთმა ლიდერმა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ტიმოშენკოს მთავრობაში იური ლუცენკომ განაცხადა, რომ დიალოგის დაწყებამდე ხელისუფლებამ ქუჩებში ბოლო კვირებში დაკავებული აქტივისტები უნდა გამოუშვას, თანამდებობიდან გაათავისუფლოს შინაგან საქმეთა მინისტრი ზახარჩენკო და ყაზარმებში დააბრუნოს შინაგანი ჯარების ჯარისკაცები. თავის მხრივ, პარტია „უდარი“ მოითხოვს აზაროვის მთავრობის გადაყენების საკითხის განხილვას უმაღლესი რადას უშიშროების და თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე, რადგან მთავრობამ ევროინტეგრაციის მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურები დაარღვია.

კიევში იმყოფებიან ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი. ისინი რიგ-რიგობით მართავენ შეხვედრებს ხელისუფლებასთან და ოპოზიციასთან. დასავლელი დიპლომატები ცდილობენ, მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას ხელი შეუწყონ, ამას გარდა, ხელისუფლებას ევროინტეგრაციის პროცესის გაგრძელების აუცილებლობაში არწმუნებენ. კეტრინ ეშტონმა გუშინ განაცხადა, რომ ღამის მოვლენების შემდეგ მოლაპარაკებების დაწყება გაცილებით უფრო რთული იქნება. ამას გარდა, მან თქვა, რომ პრეზიდენტ იანუკოვიჩს მოუწევს, ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზადყოფნის შესახებ თავისი სიტყვები საქმით დაამტკიცოს.

უკრაინის ხელისუფლებას უკრაინელების წინააღმდეგ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისთვის შესაბამისი „შედეგებით“ დაემუქრა რესპუბლკელი სენატორი ჯონ მაკკეინი. მის ვრცელ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკა ყოველთვის თანმიმდევრულად დაუჭერს მხარს თავისუფლებისა სამართლიანობისთვის ბრძოლას, ასევე შესაბამისი რეაგირება იქნება ნებისმიერ დანაშაულზე იმ უკრაინელების მიმართ, რომლებიც მშვიდობიანად იყენებენ თავიანთ ფუნდამენტურ უფლებებს სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შესახებ.

უკრაინის თემას დასავლეთის პრესაც დიდ ყურადღებას უთმობს. ექსპერტების უმრავლესობა უკრაინის ევროინტეგრაციას ოპტიმისტურად უყურებს. კიევსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე პროცესებს შეუქცევადს უწოდებს მათ შორის ზბიგნევ ბჟეზინსკიც.



*„ევრომაიდანზე“ ხალხი ისევ მატულობს*

# ამერიკის კონგრესში ბიუჯეტზე შეთანხმდნენ

პირველი გვერდიდან

დამოუკიდებელი ეკონომისტების შეფასებით, ბიუჯეტის დეფიციტის 23 მილიარდი დოლარით შემცირება იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ვალი 17 ტრილიონია, ფაქტობრივად, ზღვაში წვეთია. თუმცა მიურეიმაც და რაიანმაც განაცხადეს, რომ ამ შეთანხმებას მხარს უჭერენ როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების ფრაქციების ლიდერები კონგრესში. ამ გარიგებაზე მუშაობა ზედმეტი ხმაურის გარეშე მიმდინარეობდა ოქტომბრის შუა რიცხვებიდან, მას შემდეგ, რაც ობამას ადმინისტრაცია და კონგრესში რესპუბლიკელების ფრაქცია შეთანხმდნენ მთავრობის დროებით დაფინანსებაზე სამი თვით - 2014 წლის 15 იანვრამდე.

პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ მიღწეულ ამ კომპრომისს აშშ-ს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა. ობამამ აღნიშნა, რომ დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ერთობლივი წარმატებული მუშაობის ეს მაგალითი მხოლოდ პირველი ნაბიჯია კონგრესისთვის მთავარი მიზნისკენ - ისეთი ეკონომიკის შექმნისკენ, რომელსაც თითოეული ამერიკელის საკეთილდღეოდ ფუნქციონირება შეუძლია. ობამას აზრით, პარტიათაშორისი წინააღმდეგობების დაძლევა სხვა საკითხების გადასაჭრელადაც საჭიროა.

ოქტომბრის პირველ ნახევარში მთავრობის მუშაობის ნაწილობრივი შეწყვეტის გამო აშშ-ს ეკონომიკა უკვე საკმარისად დაზარალდა. თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს მონაცემებით, ეკონომიკის ზრდა მეოთხე კვარტალში, დაახლოებით, 0,2-0,6 პროცენტით შენელდა. „24 საათის“ მკითხველს კარგად ემახსოვრება, რომ მაშინ უხელფასო შვებულებაში, დაახლოებით, 850 ათასი ჩინოვნიკი გაუშვეს, უმთავრესად თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალი. შემდეგ მათ მისცეს კომპენსაცია 2 მილიარდი დოლარის საერთო თანხის მოცულობით. სხვა სიტყვებით, სახელმწიფო ხაზინიდან გადაიხადეს ხელფასი იმ სამუშაოსთვის, რაც, ფაქტობრივად, არ გაკეთებულა. ამავე პერიოდში ეროვნული პარკების დაკეტვის გამო ადგილობრივ (შტატების) ბიუჯეტებს დააკლდათ მოგება, დაახლოებით, 500 მილიარდის ოდენობით. შიდა შემოსავლების სამსახურმა ვერ დააბრუნა გადასახადები 4 მილიარდი დოლარის ოდენობით და, ამას გარდა, იძულებული იქნება, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის ვადა 2014 წელში იმ ხსენებული ორი კვირით გადაწიოს, რაც ფედერალურ ბიუჯეტში თანხების შესვლას შეანელებს.

ფედერალური სამინისტროების მუშაობის შეჩერებამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზეც იმოქმედა. ეს შეეხო ყველაფერს - ლიცენზიების გაცემას, საკრედიტო გარანტიების მიღებას, ნავთობმოპოვების განაცხადების განხილვას, მცირე ბიზნესის სახელმწიფო საკრედიტო მხარდაჭერას და სხვ.

კრიზისი გამოწვეული იყო არა მხოლოდ ბიუჯეტის არარსებობით 2014 წლისთვის, არამედ სასესხო ვალდებულებების დასაფარად თანხების უქონლობით. ამიტომ ობამას ადმინისტრაციას და ქვედა პალატაში რესპუბლიკურ უმრავლესობას მოუწიათ აგრეთვე მოლაპარაკებების წარმოება სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის ასაწევად. ამჟამად მოქმედი დროებითი შეთანხმების მიხედვით, მთავრობას სახელმწიფო ვალის დასაფარად სახსრები 2014 წლის 7 თებერვლამდე ეყოფა. შესაბამისად, პრეზიდენტს და კონგრესს უახლოესი ორი თვის განმავლობაში მოუწევთ მოლაპარაკებების წარმოება, რათა სახელმწიფო «ვალის ჭერის» საკითხი უფრო დიდი ხნით მოგვარდეს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება, ტექნიკური დეფოლტის საშიშროება ისევ დადგეს.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# კინოინსტიტუტის ათეული

პირველი გვერდიდან

ფილმების ჩამონათვალში მოულოდნელი არაფერია. იშვიათი გამონაკლისების გარდა მასში ის ფილმები მოხვდა, რომელთა სახელწოდებასაც უკვე ყველა აღმატებულ კონტექსტში იხსენიებენ: „12 წლიანი მონობა“, American Hustle, „კაპიტანი ფილიპსი“, „გრავიტაცია“, „ლუინ დევისის შიგნით“, „უოლ სტრიტის მგელი“ და „მისტერ ბენქსის გადარჩენა“. რჩება კიდევ სამი ფილმი. მათ შორისა, სპაიკ ჯონზის „ის“ (Her), რომლის ერთ-ერთმა მსახიობმა, სკარლეტ იოჰანსონმა, ქალის როლის შესრულებისთვის უკვე დაიმსახურა რომის კინოფესტივალის პრიზი, ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ იოჰანსონი ფილმში საერთოდ არ ჩანს - მაყურებელს მისი მხოლოდ ხმა ესმის.

შესანიშნავი „ადაპტაციისა“ და „იყო ჯონ მალკოვიჩის“ რეჟისორი ამჯერად საკმაოდ სევდიან ისტორიას გვთავაზობს და საკუთარი სცენარის მიხედვით გადაღებულ ფილმში სკარლეტ იოჰანსონის გარდა ხოაკინ ფენიქსის, ემი ადამსის, რუნი მარასა და კრის პრატის სამსახიობო ოსტატობასაც წარმოგვიდგენს. ფილმის მთავარი გმირი მარტოხელა, მორცხვი, განდეგილი მწერალია, რომელსაც ერთ დღეს ძალიან უცნაური სიყვარული ექვევა - ხელოვნური ინტელექტის ხმა შეუყვარდება. ფილმს საკმაოდ კარგი კრიტიკა აქვს, აქებენ ხოაკინ ფენიქსის ნამუშევარსაც და სამომავლოდ ნომინაციებსაც უწინასწარმეტყველებენ

„ოსკარის“ ფავორიტთა შორის მოხვედრის შანსი აქვს ორი წლის წინ ნომინირებული „შთამომავლობის“ რეჟისორ ალექსანდერ პეინის ახალ ფილმს „ნებრასკა“. ეს პეინის მორიგი ოჯახური დრამაა, რომლის ცენტრშიც 70-ს გადაცილებული ალკოჰოლიკი და ალცჰეიმერის საწყისი ფორმით დაავადებული მამაკაცია (მის როლს შესანიშნავად ასრულებს ბრიუს დერნი). ის ლატარეაში მილიონ დოლარს იგებს, მოგების მისაღებად კი სხვა შტატში უნდა გაემგზავროს. მეგზურობას შვილი უწევს, რომელიც თითქმის მომაკვდავ მამას გზად უამრავ ნათესავთან და ძველ მეგობართან გაატარებს. ნელ-ნელა ირკვევა, რომ მამას ყველა მათგანის ვალი მართებს და ირკვევა ისიც, რომ სინამდვილეში არანაირი მოგება არ არსებობს.



„ჰერ“

წლევანდელი კანის კინოფესტივალის განსაკუთრებული ხედვის კონკურსის გამარჯვებულია ამერიკის კინოინსტიტუტის ათეულის კიდევ ერთი ფილმი - რაიან კუგლერის ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული „ფრუტველის სადგური“. კუგლერის ნამუშევრის ცენტრალური ფიგურა 22 წლის აფროამერიკელი ბიჭი ოსკარ გრანტია: სამაგალითო შვილი, კარგი ქმარი, მოსიყვარულე მამა, ერთგული მეგობარი. მისი ცხოვრება მშვიდი და უპრობლემოა, მაგრამ 2009 წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე „ფრუტველის“ სადგურთან პოლიციელმა სრულიად აუხსნელი მიზეზით მოკლა. თავის დროზე ოსკარ გრანტის მკვლელობას ამერიკაში დიდი რეზონანსი მოჰყვა, ინტერნეტში მომხდარის სამოყვარულო ჩანაწერი ვრცელდებოდა, ქუჩაში საპროტესტო აქციები იმართებოდა, ამრიგად გასაკვირი არ არის, რომ ერთი შეხედვით, რიგითი მკვლელობა ძალიან კარგი ფილმის გადაღების მიზეზად იქცა.

ამერიკის კინოინსტიტუტის სატელევიზიო შოუების ათეულში კი მართლაც საუკეთესო ნამუშევრები მოხვდა. მათ შორისაა, წელს ტრიუმფით დასრულებული „მძიმე დანაშაული“ (Breaking Bad), ასევე პრაქტიკულად უკონკურენტო „სამეფო კარის თამაში“, ძალიან კარგი პოლიტიკური დრამები „ბანქოს სახლი“, „სკანდალი“ და „ვიცეპრეზიდენტი“. სიაში ასევე ამოიკითხავთ ამერიკაში მომუშავე რუსი აგენტების ისტორიის ამსახველი’“ამერიკელების“ სახელწოდებას, პრაქტიკულად შედევრ „შეშლილებს“, რიდლი და ტონი სკოტების პროდუქტ „კარგ ცოლს“, პატიმარი ქალების დრამას „ნარინჯისფერი ახალი შავია“ და ძალიან კარგი რევიუების მქონე „სექსის ოსტატებს“.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის კინოინსტიტუტმა შარშან წლის ფილმებად ბენ აფლეკის „არგო“, სტივენ სპილბერგის „ლინკოლნი“, კვენტინ ტარანტინოს „თავისუფალი ჯანგო“ და კრისტოფერ ნოლანის „ბნელი რაიდის აღზევება“ დაასახელა. რამდენად გამართლდება AFI-ს წლევანდელი პროგნოზები, ამას მხოლოდ მაშინ ვნახავთ, როდესაც „ოქროს გლობუსი“ და „ოსკარი“ საკუთარ ნომინანტებს დაასახელებს.




# ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი

დღეს, 2013 წლის 12 დეკემბერს 15:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოგვიდგენს წიგნის ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ პრეზენტაციას.

ლექსიკონში წარმოდგენილია ქართული მატერიალური კულტურის სფეროში არსებული ტერმინოლოგია, რომელიც მოიცავს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ ისეთ დარგებს როგორიცაა: მეთუნეობა, რკინამჭედლობა, ოქრომჭედლობა, ქსოვა-ქარგვა, ხითხუროობა, ქვითხუროობა, ტყავის დამუშავება, სამიწათმოქმედო იარაღები, საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობანი.

ნაშრომში განმარტებულია ასევე ტერმინები, რომლებიც მოიცავს წვრილხელოსნური და შინამრეწველობის თითქმის ყველა სფეროს. ფაქტობრივად ლექსიკონში წარმოდგენილი მასალით მკითხველს ექმნება წარმოდგენა იმ წვლილის შესახებ რომელიც ქართველ ხალხს შეუტანია მსოფლიო ეთნოკულტურის საგანძურში.

ლექსიკონში განმარტებულია 2086 ტერმინი, თან ახლავს 500-ზე მეტი ფერადი და შავ-თეთრი ფოტოილუსტრაცია და 150 მაღალი ხარისხის ფერადი ჩანართი.

გამოცემაზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის 19 მეცნიერ-თანამშრომელი. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ნადირაძე, რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**მისამართი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია, ფურცელაძის ქ.1.**

## შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი” აცხადებს საჯარო აუქციონს მის საკუთრებაში არსებული 100 ც. უვარგისი ძელის, 25 მეტრი რ-43 ტიპის რელსისა და 30 ც. ძველვარგისი ხის განძელის გაყიდვის შესახებ

**გასაყიდი ქონების დეტალური მონაცემები:**

| ლოტი № | ქონების დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | განთავსების ადგილი | საწყისი გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე (ლარი) | ”ბე” (ლარი) | ”ბიჯი” (ლარი) | აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რელსი რ-43 | გრ. მ | 25 | სადგური თბილისი საკვანძო, ასს-ს საქმიანი ეზო | 500 | 200 | 20 | 50 |
| 2 | უვარგისი ხის ძელი (13კუბ.მეტ) | ც | 100 | სადგური კასპი, სადგური კავთისხევი | 250 | 100 | 20 | 50 |
| 3 | ძველვარგისი ხის განძელი | ც | 30 | სადგური ველი, ლსს-ის საქმიანი ეზო | 1100 | 440 | 20 | 50 |

- **განაცხადების მიღების ადგილი** - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს ”საქართველოს რკინიგზის” ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი”; ტელ: (993 32) 199347; მობ: (995 91) 199559; 199995;
- **განაცხადების მიღების ვადა** - 2013 წლის 12 დეკემბრიდან 2013 წლის 25 დეკემბრამდე, განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.
- **საჯარო აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** - 2013 წლის 25 დეკემბერი, 15:00 საათი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს ”საქართველოს რკინიგზის” ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი”;

### 1. *საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:*

1.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილის შესახებ, იმ გასაყიდი ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

1.2 ”ბე”-ს და ”მონაწილის ბილეთის” საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, თანხა გადახდილი უნდა იქნეს შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი”-ს შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე: **შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი”-ს საბანკო რეკვიზიტები** - ს/ს ”თიბისი ბანკი” მარჯანიშვილის ფილიალი ბანკის **კოდი TBCBGE22; ანგარიშის ნომერი - GE43TB7182336080100002.**

1.3 საჯარო აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

1.4 იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს, განცხადების შეტანისათვის მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. თუ იურიდიული პირის წესდებით გათვალისწინებულია საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილება, აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისი წესით დამოწმებულ ასლს.

1.5 განაცხადის რეგისტრაციისა და ”მონაწილის ბილეთის” შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს საჯარო აუქციონში მონაწილის სტატუსს.

1.6 აუქციონში მონაწილეს ”ბე”-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

1.7 საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველს აუქციონში მონაწილეობაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ გასულია განცხადების მიღების ვადა ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საჯარო აუქციონში მონაწილეობისათვის განსაზღვრულ პირობებს.

### 2. *საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:*

2.1 გასაყიდი ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ სააუქციონო პირობებით გამოცხადებული საწყისი ღირებულებისა, ბიჯის გათვალისწინებით.

### 3. *საჯარო აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება:*

### 4.

4.1 სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს ქონების შემძენი, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

4.2 თუ საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ან/და ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა საჯარო აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და არ დაუბრუნდება გადახდილი ”ბე”-ს თანხა.

4.3 თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს არ დაუბრუნდება გადახდილი ”ბე”-ს თანხა.

4.4 საჯარო აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს ”რეილვეი ფროფერთი მენჯმენტ”-თან გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება. გაყიდული ქონების ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმების ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

### 5. *გაყიდული ქონების საფასურის გადახდის ვადა:*

5.1 მყიდველი ვალდებულია, ოქმის შედგენიდან არა უმეტეს 20 ( ოცი) კალენდარული დღის ვადაში, შპს ”რეილვეი ფროფერთი მენჯმენტი”-ს საბანკო ანგარიშზე (პუნქტი 1.2) გადაიხადოს ის ფასი, რომელიც შეესაბამება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

5.2 თუ მყიდველი 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გადაიხდის ქონების სრულ საფასურს მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ დაუბრუნდება გადახდილი ”ბე”-ს თანხა.

5.3 საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს, გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

### 6. *შენიშვნები და დათქმები:*

6.1 საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა ჩაითვლება გასაყიდი ქონების ფასში საბოლოო ანგარიშსწორებისას.

**გასაყიდი ქონების და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტში”.**

**საკონტაქტო ტელ**: (995 32 ) 199347

Railway Property Management

# ახალი პრეზიდენტი - გაბRICHიძე

საკალათბურთო უბნის ახალი პრეზიდენტი მდიდარია სპორტული ნიუანსების ცოდნით. საკალათბურთო უბნის ახალი პრეზიდენტი მდიდარია თავისი ერთგული სამეგობრო წრით და გაბრიჩიძემ იცის, რომ ეს ერუდიცია და სამეგობრო კალათბურთის სიმდიდრესაც შეუწყობს ხელს. შემდეგი ციკლი იქნება გაბრიჩიძის გამოცდა. ამ ციკლში ახალი პრეზიდენტი ახალ დატვირთვას მიიღებს და თუ გაქაჩავს, უფრო მდიდარი და მშვიდი გახდება. სიმშვიდე სიმდიდრეს მოაქვს. იმ სიმდიდრეს, რომელსაც პროფესიონალიზმი და მეგობრობა კრავენ. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, ქართულმა კალათბურთმა, მისმა წარსულმა, აწმყომ და მომავალმა ნდობა მიხეილ გაბრიჩიძეს გამოუცხადეს.


არჩევნების პროცესი

არჩევნები სასტუმრო ქორთიარდში“ ჩატარდა. ჩვეულებრივი პროცედურა - ადიხარ მეორე სართულზე, გადიხარ რეგისტრაციას და შედიხარ კომფორტულ სააქტო დარბაზში. ჟურნალისტებს თავისი ქსივები“ აქვთ, დელეგატებს - ცოტა განსხვავებული, დაცვა მობილიზებულია და ყველაფერი ორგანიზებულად უნდა ჩატარდეს. იდეაში, არ არსებობს საარჩევნო პროცესისთვის ხელშემშლელი ფაქტორი. ოთხი კანდიდატიდან ერთი თვლის, რომ წინა ფედერაცია უკანონოდ მართავდა პროცესებს და დანარჩენი სამი არჩევნებისთვის ემზადება. მოსამზადებელი პერიოდი ყველამ ინდივიდუალურად გამოიყენა. პირველ რიგში, გვახსენდება უკმაყოფილო კანდიდატის მიხეილ ახვლედიანის ტირადები უსამართლო სისტემასთან და გაუმართავ წესდებასთან დაკავშირებით. ახვლედიანი აგრესორივით იწყებს და დაჩაგრული პიონერივით ამთავრებს. ის აგრესორი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს კალათბურთისთვის დაფინანსების შეწყვეტას ურჩევდა, თუ არჩევნებს თვითონ არ მოიგებდა. ეს ალბათ კალათბურთის ზედმეტი სიყვარულისგან მოსდიოდა ან ბატონი მიხეილი კალათბურთზე ისევე ზრუნავს, როგორც გრეგ პოპოვიჩი კობი ბრაიანტის დედაზე. გრეგისა და დედის ურთიერთსიმპათია უფრო რეალურია, ვიდრე ახვლედიანისა და კალათბურთის მეგობრობა. სააქტო დარბაზში სიმშვიდეა. საარჩევნო პროცესი წაიყვანა კალათბურთის ამბებში გარკვეულმა, ყველა ნიუანსის კარგად მცოდნე გიორგი ქართველიშვილმა, რომელიც მერე, დაახლოებით ორ საათში, ახალმა პრეზიდენტმა გამგეობის ახალ შემადგენლობაში აირჩია და გენერალური მდივნის კომფორტული სავარძელიც შესთავაზა.

ახვლედიანი ბეჯითი მოსწავლის ჟესტიკულაციით ითხოვს სიტყვას, მაგრამ ამას ცოტა უდროოდ, ქართველიშვილის სიტყვის დროს აკეთებს. თუმცა, თავის სიტყვას მაინც იღებს. ჟურნალისტებმა დარბაზში დარჩენის უფლება მიიღეს. იქვე მოთავსდნენ, მეგობრულად ჩამოსხდნენ, წამოწვნენ და დაიწყო მიხეილ ახვლედიანის ქართულის გაკვეთლები. ძალიან კარგი ტემბრი, მშვენიერი დიქცია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ნერვიულობს და სიტყვებს ვერ იმორჩილებს. მან დელეგატებს, ჟურნალისტებსა და დაცვის დაღლილ თანამშრომლებს წაუკითხა ფიბას ბოსების წერილი, რომელიც ჩვენი არჩევნების ჰუმანურად და სამართლიანად ჩატარებას უკავშირდებოდა. ამასობაში ბატონ მიხეილს შეეშალა ან გამორჩა რამდენიმე სიტყვა. რომ დაალაგა, ჩვეულებრივი წერილი, მიმართვა გამოვიდა. ახვლედიანის გამოსვლამდეც ვიცით, რომ ბესიკ ლიპარტელიანის გუნდი წესებს არ არღვევს. წესდება, რომელიც არავის არ მოსწონს, დასახვეწია, მაგრამ ამ წესდებას ახალი პრეზიდენტი მიხედავს და ამ წესდების გაუმართაობის შესახებ ლიპარტელიანმა და ძველმა გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ფიბას ბოსებს ადრევე შეატყობინეს.

ახვლედიანი პროტესტის ნიშნად გადის დარბაზიდან და იქვე, დერეფანში, მინი ბრიფინგს ატარებს უფრო დამაჯერებელი და ნებისმიერი ტელეწამყვანისთვის შესაშური ხმის ტემბრით. აზრს რომ არ მოუსმინო, დაგრჩება შთაბეჭდილება, რომ ნიკ ქეივის ლექსებს უსმენ. იქნებ ბატონმა მიხეილმა პროფილი შეიცვალოს - ნიჭს სათანადოდ გამოყენება უნდა.

დარბაზში რჩება დანარჩენი სამი კანდიდატი და მერაბ რატიშვილი იწყებს განვლილი პერიოდის წარდგენა-შეჯამებას. სადღაც ფედერაციამ კარგად იმუშავა და ეს ვიცით. სადღაც იყო შეცდომები და ამ შეცდომებს უკვე სხვები მიხედავენ. სხვებში სამნი რჩებიან - მიხეილ გაბრიჩიძე, ვლადიმერ ბოისა და კახა შენგელია. სამი ჩვეულებრივი, კანონმორჩილი ადამიანი. ბოისა და შენგელია ხსნიან კანდიდატურას და არჩევნების დასრულებამდე ყველაფერი დასრულებულია. მიხეილ გაბრიჩიძე არაოფიციალურად ხდება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი. უბრალოდ, დამთვლელმა კომისიამ ზაზა გაბისონიას, გია სანაძის და ამირან ხაჩიძის შემადგენლობით ხმები უნდა დაითვალოს და შედეგი გამოაცხადოს. ამას დიდი დრო არ მიაქვს.

მიხეილ ახვლედიანმა მეგობრულად დაიწუწუნა, რომ ლიპარტელიანის გუნდმა ხელოვნურად გაშალა დელეგატების რაოდენობა. ბატონმა მიხეილმა იცის ასეთი ქვეყანა, რუმინეთი, სადაც ჩაუშესკუ დიქტატორობდა და დუკადამი პენალტებს იღებდა. რუმინეთშიც ცოტა ხნის წინ დასრულდა იქაური ფედერაციის არჩევნები, რომელშიც ორასამდე დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. ეს ისე, ინფორმაციისთვის. ვბრუნდებით საქართველოში.

ახვლედიანთან ერთად დარბაზი რამდენიმე დელეგატმა დატოვა. საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობას იღებს 32 დელეგატი.

29 ხმა მიხეილ გაბრიჩიძემ მიიღო.

ორი ბიულეტენი ბათილად ცნეს.

ერთი ხმა მიიღო მიხეილ ახვლედიანმა.

29:1 გაბრიჩიძის სასარგებლოდ და იწყება ახალი პრეზიდენტის ჩვეულებრივი სფიჩი“, რომელშიც საგრძნობლად დიდი ნერვიულობაა. გაბრიჩიძემ სწრაფად დახურა ყველაფერი და დასრულდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის კიდევ ერთი არჩევნები.

კიდევ ერთი პროცესი, რომელიც უმრავლესობამ მოიწონა და მიხეილ ახვლედიანი მთელ ამ ლამაზ პროცესს კარნავალს“ უწოდებს.

არჩევნები დასრულდა და მიხეილ გაბრიჩიძე ახალი პრეზიდენტია. ვუსმენთ ახალ პრეზიდენტს.

მიხეილ გაბრიჩიძე: ცოტას ვნერვიულობ, მაგრამ იმედი მაქვს, გამიგებთ. დიდ მადლობას ვუხდი ყველა დელეგატს ნდობისთვის და გპირდებით, რომ ქართული კალათბურთისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ძალიან ბევრი რაღაც გამოსასწორებელია. ვიცი, რომ ეს რთული პროცესი იქნება და იმედი მაქვს, ჩემი ახალი გუნდი მაქსიმალურად შემიწყობს ხელს. სიამოვნებით გავესაუბრები ჩემს მეგობარს, მიხეილ ახვლედიანს და მის მოსაზრებებს მოვისმენ. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ პროგრესზე და ახვლედიანის აზრიც გასათვალისწინებელია.“

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძეა. პერსონა, რომელიც კალათბურთის და კალათბურთელების მეგობარია. უბრალოდ, ძალიან უშუალო და თავის საქმეში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც მდიდარია. საკალათბურთო უბნის ახალი პრეზიდენტი მდიდარია სპორტული ნიუანსების ცოდნით. საკალათბურთო უბნის ახალი პრეზიდენტი მდიდარია თავისი ერთგული სამეგობრო წრით და გაბრიჩიძემ იცის, რომ ეს ერუდიცია და სამეგობრო კალათბურთის სიმდიდრესაც შეუწყობს ხელს. შემდეგი ციკლი იქნება გაბრიჩიძის გამოცდა. ამ ციკლში ახალი პრეზიდენტი ახალ დატვირთვას მიიღებს და თუ გაქაჩავს, უფრო მდიდარი და მშვიდი გახდება. სიმშვიდე სიმდიდრეს მოაქვს. იმ სიმდიდრეს, რომელსაც პროფესიონალიზმი და მეგობრობა კრავენ. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, ქართულმა კალათბურთმა, მისმა წარსულმა, აწმყომ და მომავალმა მიხეილ გაბრიჩიძეს გამოუცხადეს ნდობა.

გაბRichიძე.

# ძიუდოისტები ახალ სეზონს ახალი რეიტინგებით ხვდებიან

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ახალი სეზონს ახალი სარეიტინგო ადგილებით ხვდება. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო რეიტინგში ქართველები მრავლად არიან წარმოდგენილი, მაგრამ მათგან მხოლოდ ოთხს უკავია ადგილი მოწინავე სამეულში. მათ შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ევროპის მოქმედ ჩემპიონსა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელს ავთანდილ ჭრიკიშვილს, რომელიც 81 კილოგრამ წონით კატეგორიას უდგას სათავეში.*



ჭრიკიშვილი დიდი უპირატესობით უსწრებს უახლოეს მდევრებს. მას და ფრანგ ლუის პიეტრის 400-ქულიანი ზღვარი ყოფს.

მსოფლიო რეიტინგში მეორე საფეხურზეა წლეულს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის მედალოსანი ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ.), რომელიც პირველ ადგილზე მყოფ კუბელ ეშლი გონსალესს 68 ქულით ჩამორჩება.

1896 ქულით მეორე ადგილზეა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ევროპის ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი. წონის ლიდერს, იაპონელ ნაოჰიშა ტაკატოს, ის დიდი სხვაობით - 1134 ქულით ჩამორჩება.

მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი 1742 ქულით მესამეა. აქ მოწინავე საფეხური ბრაზილიელ რაფაელ სილვას (2430) უკავია.

თუ მსოფლიო რეიტინგის ათეულს გადავავლებთ თვალს, აქ კიდევ ორ ქართველს ვნახავთ - 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ევროპის მოქმედი ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი 1042 ქულით მეექვსეა, ხოლო 1022 ქულით ლევან წიკლაური (81 კგ.) - მერვე.

ათეულთან ყველაზე ახლოსაა ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ.), რომელიც ორი საფეხურით აცდა ათეულს.

**60 კგ.**
1. ნაოჰიშა ტაკატო (იაპონია) 3030
**2. ამირან პაპინაშვილი (საქართველო) 1896**
3. ამარტუვშინ დაშდავაა (მონღოლეთი) 1882

**66 კგ.**
1. ტუმურხულეგ დავაადორჯი (მონღოლეთი) 1830
2. დავიდ ლაროში (საფრანგეთი) 1452
3. მასაში ებინუმა (იაპონია) 1400

**73 კგ.**
1. ნიამ-ოჩირ საინიარგალი (მონღოლეთი) 2030
2. დირკ ვან ტიჩელტი (ბელგია) 1698
3. შოჰეი ონო (იაპონია) 1384

**81 კგ.**
**1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო) 2192**
2. ლუის პიეტრი (საფრანგეთი) 1792
3. ვიქტორ პენალბერი (ბრაზილია) 1498

**90 კგ.**
1. ეშლი გონზალესი (კუბა) 2554
**2. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო) 2486**
3. კირილ დენისოვი (რუსეთი) 1796

**100 კგ.**
1. ელხან მამადოვი (აზერბაიჯანი) 2376
2. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი) 2018
3. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია) 1730

**+100 კგ.**
1. რაფაელ სილვა (ბრაზილია) 2430
2. ტედი რინერი (საფრანგეთი) 2300
**3. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო) 1742**

# მერაბ ჟორდანიამ „ვიტესი" გადააბარა

გიგა გურასაშვილი

*მერაბ ჟორდანია, ერთადერთი ქართველი, რომელიც ევროპაში საფეხბურთო კლუბის - ჰოლანდიის ერედივიზიონის ბინადრის, „ვიტესის" პრეზიდენტი იყო, დღეიდან კლუბის თავმჯდომარე აღარ არის. ჰოლანდიური ინტერნეტ გამოცემების omroepgelderland.nl, gelderlander.nl, hoogenlaag.nl... ცნობით, 53 წლის ქართველი საბოლოოდ დაემშვიდობა არნემის „ვიტესს".*



მერაბ ჟორდანიამ „ვიტესთან" დამშვიდობება ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ კლუბის მეპატრონემ (ხმების თანახმად, რეალური მფლობელი რომან აბრამოვიჩია) აქციათა საკონტროლო პაკეტი 50 წლის რუს მილიარდერს ალექსანდრ ჩიგრინსკის მიჰყიდა. პრინციპში, ჩიგრინსკი 2010 წლიდან ისედაც „ვიტესის" მთავარი დამფინანსებელი იყო, ოქტომბრიდან კი კლუბის მმართველი გახდა. ჩიგრინსკის სათავეში დე იურე მოსვლის შემდეგ ჟორდანიამ სტატუსი შეიცვალა და „ვიტესის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა, დღეს კი...

ჰოლანდიური მედია იუწყება, რომ სამშაბათს მერაბ ჟორდანიამ ეს თანამდებობა 57 წლის ბერტ როეტერტს გადაულოცა.

ჰოლანდიური გამოცემები წერენ, ქართველი კლუბიდან წასვლის მიზეზს არ ასახელებსო. ერთადერთი კომენტარი მის შემცვლელს უკავშირდება: „როეტერტი სწორედ ის ადამიანია, ვინც კლუბს წინსვლაში დაეხმარება, რადგან მან ყველაზე უკეთ უწყის კლუბის შიდა სამზარეულო".

თანამდებობიდან უკომენტაროდ წასვლამ ჰოლანდიურ მასმედიას მარჩიელობის საბაბი მისცა. ასახელებენ რამდენიმე ვერსიას, რის გამოც ჟორდანიამ კლუბი დატოვა. წასვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ეგრეთ წოდებული „პროექტ 2013"-ის ჩავარდნაა. კერძოდ, 2010 წლის აგვისტოში, როდესაც ის კლუბის მფლობელი გახდა, განაცხადა, რომ სამი წლის განმავლობაში შექმნიდა ბრძოლისუნარიან გუნდს, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი გახდებოდა და, სულ ცოტა, ჩემპიონთა ლიგაზეც ითამაშებდა.

კიდევ ის, რომ უკვე ყოფილი მეპატრონის მიერ წლების განმავლობაში დახარჯული მილიონები ყოველთვის გამართლებული არ იყო. დიდი ფული იხარჯებოდა იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინეს კლუბზე. იმასაც იხსენებენ, რომ ჟორდანიას მმართველობის დროს არნემულ კლუბში ექვსი მწვრთნელი შეიცვალა. დიდი ფული განიავდა ფეხბურთელთა აგენტებზეც.

ყველაფრის მიუხედავად, მერაბ ჟორდანიას გარჯას არ ივიწყებს ბერტ როეტერტი. ამბობს, რომ ჟორდანიამ კლუბის მშენებლობას კარგი საფუძველი ჩაუყარა: „მადლობას ვუხდი მერაბს „ვიტესის" ერთგულებისთვის. მან გუნდს იდეალური საფუძველი ჩაუყარა, ისეთი, რომელზეც გავაგრძელებთ მშენებლობას".

ჰოლანდიური პრესა არც იმას ივიწყებს, რომ ჟორდანია ფეხბურთელებსა და „ვიტესის" გულშემატკივრებში ძალიან პოპულარული იყო.

არნემულ კლუბში მისი მისვლიდან მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. გუნდი შესამჩნევად გაძლიერდა და დღეს ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია (10 მოგება, 3 ფრე და 3 წაგება). ეს კლუბი ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრისთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მის ღირსებას იცავენ გურამ კაშია, გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი.

ჟორდანიას სახელს უკავშირდება კლუბისთვის ულტრათანამედროვე სავარჯიშო კომპლექსის მშენებლობა არნემიდან 8 კილომეტრის დაშორებით, პაპენდალში.

